სახალხო გაზეთი

№ 962 სამშაბათი, 6 აგვისტო 1913 № 962

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და უღირსება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სპეპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. მიმართვის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის მიმართვა წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებითი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 აგვისტოს.

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარედ ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ნინო გიორგის ასული ყავრიშვილისა შვილებითურთ, გულითადს მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც ძვირფასი ქალისა და დის

თ ა მ ა რ ი ს

განსვენებით გამოწვეულ უბედურების გამო, წერილებით, დეპეშებით ან პირადად—დაკრძალვაზე დასწრებით—თანაგრძნობა გამოუცხადეს მათ. 538

დღეს, 6 აგვისტოს, გარდაცვალების 40 დღის თავზე, ქვაშვეთის ეკლესიასა და სიო ფ. შერთულში (გორის მაზრა), დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ექიმის

სვიმონ ილარიონის ძის გძელიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **განსვენებულის ქვრივი სოფიო პავლეს ასული, ძმა მდვდელი გრიგოლ ილარიონის ძე გძელიშველი, და ეკატერინე ილარიონის ასული დადიანიძე** და **რძალი ქეთევან ფომას ასული გძელიშვილისა შვილებითურთ.** პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში დაიწყება წირვის შემდეგ, შუადღის 12 ს. 1422

ახალი კლუბი
(საზაფხულო სადგომი)

სამშაბათს, 6 აგვისტოს 1913 წ. შესდგება

კონცერტი

სიმფონიური ორკესტრისა **ი. ვ. ზელიონის** გამგებლობითა და ახალგაზდა მომღერლის **დ. აკოფაშვილის** (ბარიტონი) მონაწილეობით.

კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივივ.

1402 დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ზუბალ. სახელ. სახ. სახლში ქართულ სახალ. წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა იწვევს

საერთო კრებას

აგვისტოს 9-ს საღამოს 8 საათზე, მიხეილის ქ. № 102.

1) მიმდინარე კითხვები.

2) გამგეობის წევრების დამატებითი არჩევნები. 1418

ახალი კლუბის

მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს კლუბის წევრთა, რომ ხუთშაბათს, **8 აგვისტოს** 1913 წ. **ნაცვლად 19 მაისს არ შემდგარ კრებისა** დანიშნულია მეორედ ახალ კლუბის წევრთა

საზოგადო კრება

საღამოს 8 საათზე, კლუბის საზამთრო სადგომში. კრება თანახმად წესდებისა კანონიერად ჩათვლება რამდენი წევრიც უნდა დაეწროს.

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მამასახლისთა საბჭოსი საზამთრო შენობის გაფართოების შესახებ, 2) არჩევანი წევრთა, მუდმივ მოსიარულეთა და მიმდინარე საქმეები. 1403

ტფილისის საკომერციო ბანკი

ამით აცხადებს, რომ ბ-ონ კირპსთა მინისტრის ნებართვით და ბანკის ბ.ბ. აქციონერთა დადგენილებით გაიხსნა ბანკის განყოფილება:

ა. წ. 27 ივლისს ქ. სარსეში.

ა. წ. 31 ივლისს ქ. ქუთაისში.

განყოფილებანი აწარმოებენ ბანკის წესდებით ნებადართულ ყველა ოპერაციებს. 1423

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლეგისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355

მიღებული გვაქვს ძვირფასი ხაჩუქრები.

(იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკო 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ეკატერინოსლავის გამოფენაზე 1910 წ.

ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი

რესტორანი

მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—ბრეენოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. დამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი ღიმის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის **ე. ფაუსტინის** ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის **კონევსკის** და ვიოლონჩელზე დამკვრელის **სტეფანჩაკის** მონაწილეობით. 1409

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკეგისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

6 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება

2 დიდი სადღესასწაულო და საზეიმო წარმოდგენა.

მონაწილ ობას მიიღებენ საგანგებოდ არჩეულ ნომრების შემასრულებელნი და ახლად მოწვეული მასხარები. **დილით სახბავშვო დღესასწაული** მხიარულებისა, ბავშვებისათვის და ზოსწავლეთათვის საგანგებოდ შემ.გარ პროგრამითა და დაწეული ფასებით. სეირნობა ჯორებით და პონით უფასოა. დასაწყისი 2-ნახ. საათ. აღამოთი, არაჩვეულებრივი სანახავი ტფილისისათვის **4 ეშმაკი** პირველად კავკასიაში! ბოლონდელი გასტროლები გამოჩენილ მფრინავთა, ჰერის მეფეთა **4 ეშმაკისა**, რომ ლინიც დღეს შეასრულებენ ოომაკ., სამრეგო და არაბულს პირუეტ-სალტომორტალეს ჰაერში და ბადეში. გასტროლი სახელგანთქმულის შეუდარებელი მოჯირითე ბულგარელი ქალის **თამარასა** გასტროლი ცნობილ მუსიკალურ ექსტენტრიკების **ბ-ნნ ბროკჯრსებს.** გამოსვლა ტფილისელთა საყვარელი მასხარასი ბ. **რობერტსისა** მისი უმკვიანანეს ვირით „იაშკათი" და **მოჯაპარაკე ძაღლით** „ტირასით" გამოცანა მე-20 საუკუნისა! გამოსვლა ამორჩენილ ჯამბაზების „ბურთ-კაცებისა" ოჯახის **დელა-კაზოს.** გამოსვლა ს. ლ. ლეონოვ მასხარა-მოშაირეებისა **ძმ. ვინჩეცოვები.** კონტრამარკები დღეს არ გამოდგება.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.

დირიჟორი **ძმ. ესიკოვსკეგისა.** 534. გამგე: **ლ. მ. ბუნდაძე.**

ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ბ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი წიგნის მაღაზია

კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიის შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიის სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრ. შვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის ჯვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძალიერ იაფად. 1419

„თემი"-ს გამოცემა
ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„ მზის სიცილი"

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: **გაზ. „თემის" კანტორა, ოლგის ქ. № 4.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ-ბლიქ-შანანაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ბერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. ვ. ყოველ დღე 10—1.
	სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1
	ფედოროვი ბ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. ვ ა.** შაბათობით 10½—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფოლდოვი ბ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურ. და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ოლიმბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეროლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსმეტიკა, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშუბაუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მხურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ყველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

გვირგვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული ტ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოჯიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ბ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ლამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

ქ. ფ. წ.-ბ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები:

თხზულ. აკაკისა	ტ. 1,	1 მ.
„ „	ტ. 2-ე,	1 მ.
„ ალ. ყაზბეგისა		3 მ. 50 კ.
„ რ. ერისთავისა	ტ 1,	1 მ.
„ „	ტ. 2-ე,	40 კ.
„ შ. არაგვისპირელისა	წ. 1,	50 „
„ „	წ. 2-ე,	40 „
„ „	წ. 3 ე,	40 „
„ „	წ. 4-ე,	50 „
„ „ შიო თავადი,		60 „
„ დ. კლდიაშვილისა	ტ. 1,	75 „
„ „	ტ. 2-ე,	75 „
„ ბ. წერეთლისა	ტ. 1,	60 „
„ „	ტ. 2-ე,	60 „
„ ეკ. გაბაშვილისა	ტ. 1,	1—20 „
„ დ. მეგრელისა	ტ. 1,	70 „
„ „	ტ. 2-ე,	70 „

ახლად მიღებული წიგნები:

როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედ. დაწესებულება, ა. მ. კახელაძისა . 10 „

ვეფხის-ტყაოსნის შედგენილობა, დ. კარიჭაშვილისა, . . . 5 „

ძველი საქართველო . . . 4 მ.— „

Изъ лингвист. поѣздки въ Абхазію, Марра, . . . 50 „

Очерки по этнологіи Кавказа, Чурсина . . . 60 „

სარგის კაკაბაძე.

ბაგრატ მეფე, მე-15 ს. რაჭა-არაგვეთის მფლობელი, . . . 10 „

ბაგრატ უცნობი მე-14 საუკ. რაჭა-არაგვეთის მფლობელი . . 10 „

სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი, 1488 წ. . . . 10 „

ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი? . . . 20 „

მე-13 საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები . . 10 „

თმოგველთა ვარის ისტორიისათვის 15 „

დავით აღმაშენ, მემატიანის ვინაობა 10 „

სამართ. კათალიკოზისა და მისი შედგენა დრო, . . . 10 „

ძეგლის დადება გიორგ. ბრწყ. მიერ 20 „

ავგადასავალი იესე ოხეს შვილისა 1—20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

მპოვნელთა საყურადღებოდ!!!

შაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, როდესაც სამუშაოდან შინ ვბრუნდებოდი სადგურ ორხევიდან ნავთლულამდე, გზაში **დამეკარგა „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი № 167666.** რევოლვერის მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ დამიბრუნოს იგი, რადგან უმოწყობოდ რევოლვერი მისთვის გამოუსადეგარია, რისთვისაც მპოვნელი მადლობასთან ერთად **კარგ ჯილდოს მიიღებს.** ადრესი: სადგური ნავთლული. ჩიკოვანის ნავთის „სკლადი". მიბეილ პორფილეს ძე კამკამიძეს. 527

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

მის. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დიდ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორდანოვის ქ. № 20. წ. 1028

ექიმი ი. ი. გეგეშიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** ტ **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროვის ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **კბილისა არჩილ დოლიძე** **დაბრუნდა** საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსახარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოლოგი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. ვ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი: აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლოგა „606"-ით 1035

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა ძ ა ჯ ა ი ა**

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე.

ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი **ა. შ. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5-ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 5—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ტფილისი, 6 აგვისტო

საქალაქო საარჩევნო უფლება

ქალაქები გასაოცარის სისწრაფით იზრდება. ამასთანავე ერთად მათი ცხოვრებაც რთული ჰხდება. იზრდება კონტინგენტი ისეთს მცხოვრებლებისა, რომლებიც ქალაქის ბედ-იღბალით პირდაპირ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მის მართვა-გამგეობაზე კი არავითარი გავლენა არა აქვთ. დღევანდელ საარჩევნო სისტემის წყალობით, უდიდესი ნაწილი მცხოვრებლებისა გარიყულია არჩევნებიდან. მთელი მესვეურობა ხელში უჭირავთ ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებსა და სახლის პატრონებს. ისინი არიან მხოლოდ მიჩნეულნი ქალაქის მზრუნველებად, ყველა სხვა დანარჩენი მცხოვრები კი იძულებული ჰხდება მხოლოდ შორიდან უცქიროს ქალაქის საქმეებს. ამასთანავე ერთად, რამდენადაც დიდია ქალაქი, იმდენად შედარებით ნაკლები პროცენტი იღებს აქტიურ მონაწილეობას ქალაქის საქმეებში, საყურადღებო

[illegible]

[illegible] „რუსკოე სლოვო“-ში. 21 საგუბერნიო ქალაქებიდან [illegible] ... 5—10 [illegible] 10—14 მდე. 7 [illegible] 9-მდე [illegible] ქალაქში 20—39-მდე. [illegible] ქალაქებში, სადაც [illegible] 90—110-მდე [illegible] 5—15-მდე შორს არ მიდის.

დიდს ქალაქებში, სადაც ცხოვრება უფრო გართულებულია, სადაც საქალაქო მეურნეობას მკვიდრი საფუძველი აქვს მოპოვებული, მცხოვრებთა უდიდესი და ხშირად ყველაზე სასარგებლო ნაწილი გარიყული რჩება. ასეთს მდგომარეობას არ შეეძლო თავისი დაღი არ დაესვა ქალაქის ცხოვრებისთვის. მართლაც, ჩვენა ვხედავთ, რომ საქალაქო თვითმმართველობათა მოღვაწეობა ვიწრო ფარგლებში მოემწყვდა, დაეკარგა ფართო საზოგადოებრივი ინტერესი. ამასა ჰგრძნობდნენ და ჰგრძნობენ არა მარტო პროგრესიულად განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფები, არამედ ძალიან ხშირად მთავრობის წარმომადგენლებიც.

დიდი ხანია როგორც პრესაში, ისე სახელმწიფო სათათბიროში ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საქალაქო თვითმმართველობათა საარჩევნო რეფორმა აუცილებელი გახდა. აძას უკვე ყველა ჰგრძნობს. მაგრამ, რანაირი უნდა იყოს რეფორმა, ამაში კი ვერ შეთანხმებულან. თავისთავად ცხადი და სასარგებლო რეფორმა შეჩერებულია, რადგანაც უნდობლობა, ტრადიციული უნდობლობა მთავრობისა დემოკრატიულ საზოგადოებრივ ელემენტებისადმი რეფორმას წინ ათასნაირ დაბრკოლებას უყენებს. ეს უნდობლობა აფერხებდა რუსეთში მრავალ რეფორმას და იგივე უნდობლობა შეუძლებლადა ჰხდის ისეთი რეფორმის განხორციელებას, რომლის სარგებლობას ხშირად მთავრობის წარმომადგენლებიც კი ჰგრძნობენ.

სახელმწიფო სათათბიროსაც საჭიროდ მიაჩნია საარჩევნო რეფორმა. მაგრამ ისიც შორს ვერ მიდის და კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ საარჩევნო უფლებას ანიჭებს არა მარტო სახლის პატრონებს, არამედ ისეთს ბინის დამქირავებლებს, რომლებიც ბინის გადასახადს იხდიან. ასეთი ცვლილება, რა თქმა უნდა, ცენზის მქონე პირთა რიცხვს აძრავლებს, მაგრამ მაინც უუფლებოთა სტოვებს მცხოვრებთა კარგად დიდს კონტინგენტს. უღარიბესი ნაწილი მცხოვრებლებისა მაინც გარიყული რჩება.

საუკეთესო რეფორმა მხოლოდ ისეთი იქნება, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა ყველა კატეგორიას მისცემს საარჩევნო უფლებას. ასეთი [illegible] საყოველთაო საარჩევნო უფლება ამ ნიადაგზე სდგას სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიცია.

ქართული პრესა

„თემი“ „განთიადს“ უკეკლუცდება.

„გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, სწერს „თემი“,—რომ სულ პირველად ჩვენ ვუსაყვედურეთ გაკვრით ერთს ჩვენს მოღვაწეს მუდამ „წიწამურის ტრაგედიის“ ხსენება მოპირდაპირე პარტიის გასაწბილებლად“.

„თემი“ ფ. მახარაძეს კომპლიმენტს ეუბნება:

„ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით ყველა იმ ელემენტების საქმიანობას, რომელნიც, როგორც 18 ჩოხატაურელი ამბობს თავის წერილში, „მსხვერპლად ეწირებიან მშრომელი ხალხის განთავისუფლების დიდებულ იდეას“ და მათ შორის, რა თქმა უნდა, თვით ფ. მახარაძესაც, მაგრამ...

ეს „მაგრამ“ საინტერესო აღარ არის.

„თემმა“ აღმოაჩინა ნამდვილი მიზეზი ილიას მკვლელობისა“

„ჩვენ გვრწამს, რომ ილიას მკვლელობა მოჰხდა **პირადი შურისძიების ნიადაგზე,** მხოლოდ გამორკვეული არ არის ჯერ-ჯერობით, რა მიზეზით არის გამოწვეული ეს შურისძიება“.

„თემი“ და „განთიადი“ ერთად მიდიან:

„25 ლანჩხუთელი პროტესტანტი ჩვენ გვწამებს, „იმ ჯგუფს, რომელიც ცნობილია ნამდვილ დემოკრატიის სულის კვეთების გამომხატველად, დაუნდობელად ლანძღავთო“. არ შეიძლება აქ არ ვიხმაროთ საწყენო სიტყვა და არა ვსთქვათ, რომ ეს პირდაპირი ცილისწამებაა. ჩვენ ამ ჯგუფს კი არა ვლანძღავთ, არამედ უფროს ერთს შემთხვევაში პრაქტიკულ საქმიანობის დროს ჩვენ და ეს ჯგუფი ერთად მივდივართ“.

ამიერიდან პროტესტანტებს შეუძლიანთ „თემი“ საერთო სიიდან ამორიცხონ და პროტესტები მარტო „სახალხო გაზეთსა“ და „იმერეთის“ წინააღმდეგ დასწერონ. ასე უფრო კარგი იქნება.

* * *

ილია ჭავჭავაძის ყველა პატივისმცემელი და ყველა ის, ვინც გულწრფელად არის აღშფოთებული ილიას მოკვლით, ვინც გულის მტკივნეულობით განიცდის ამ ტრაგედიას, კერპტ თაყვანის-მცემელი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში „ბათომის გაზეთს“ ასე ჰგონია:

„ასე სწერს ბ-ნი სიტყვა „სახალხო გაზეთი“-ს მე-955-ე №-ში. ქართველი ერი ყოფილა ვერაგი, მხეცურად ბუმბურაზ ადამიანის მკვლელი... ასე იცის ქკუა-გონების დაბნელება და შერყევა კერპთაყვანისმცემლობამ“.

იქნება „ბათომის გაზეთს“ ეჩვიებადება, რომ ილია მოჰკლეს? ან იქნება ჭგონია, რომ ილია „ბუმბურაზი“ არ იყო, ან იქნება ილიას მკვლელობა „მხეცურად“ არ მიაჩნია? რომელი ერთი ვიფიქროთ?

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რუსსკია ვედომოსტი“ 31 ივლისს მეთაურში ბაქოს ნავთის სამრეწველოების მუშათა გაფიცვას ეხება, ასწერს მთელი მოძრაობის ისტორიას და შემდეგ არკვევს სამ ფაქტორის როლს: მუშების, მრეწველებისა და ბაქოს სახელმწიფო ადმინისტრაციისა. იმ დროს, როდესაც მუშები და მრეწველები შეთანხმებას აპირებდნენ და „მუშათა კომისიის“ არჩევა უნდოდათ, საქმეში ადმინისტრაცია ჩაერია და განაცხადა, რომ ასეთ კომისიების მუშაობის ნებას არ დართავს. ამის გამო შეთანხმებაც არ მოხდა. გაზეთი ადმინისტრაციის ჩარევის გამო დასძენს:

„ასეთ ჩარევას დასავლეთ ევროპაში კარგად იცნობენ. ასეთი ამბავი იქ—ნორმალური მოვლენაა. სახელმწიფო მართველობა დაინტერესებულია იმით, რომ მრეწველობა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდეს, შეუჩერებლად და დაუბრკოლებლად. მუშათა ს მრეწველთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების სფეროში მათი ინტერესების შეჯახების დროს სახელმწიფო მთავრობა კისრულობს კონტროლსა და შუამავლობის ფუნქციებს. მთავრობისა თვის საინტერესოა კონფლიქტების მოსპობა, დავის ჩქარი მოსპობა, მრეწველობის ცხოვრებაში ისეთ პირობების დამყარება, რომელიც ორივე მხარეს ინტერესს უზრუნველჰყოფს, და ამასთანავე მრეწველობის დაუბრკოლებრივი განვითარება. ასეთ როლში გამოდის მთავრობა დასავლეთში, როდესაც მუშებსა და მრეწველების შორის კონფლიქტი მოხდება ხოლმე“.

შემდეგ გაზეთს მაგალითად მოჰყავს ინგლისის უკანასკნელი გაფიცვები, მაგრამ... რუსეთი ხომ ინგლისი არ არის. აქ მუშები და მრეწველები შეთანხმებას სცდილობენ, მთავრობა კი ხელს უშლის ამ შეთანხმებას, რაგან.

„იგი ჯიუტად ადგას თავის ძველებურ პოლიციურ პოზიციებს და სრულიად არ უყურებს იმას, რომ მრეწველობის განვითარებამ შორს გაუსწრო მას. როგორც ფაქტები ამოწმებს, მრეწველობის ცხოვრებაში მათ მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ.“

ახალი ამგავი

ტფილისი

◆ **პროფ. ი. ჯავახიშვილს,** რომელიც ამ ჟამად სოფ. ლამისყანაში იაკ. ალექსანდრე და კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის სახელში იმყოფება, ხელთანაწერების წიგნთსაცავის გადასინჯვის დროს აღმოუჩენია შესანიშნავი ძველი ხელთნაწერი „ქართლის ცხოვრება“. ბ-ნი ჯავახიშვილი უკვე შესდგომია ამ ხელთნაწერის შესწავლას და ცალკე გამოკვლევას ამზადებს.

◆ **ახალი ორიგინალური პიესები.** მსახიობმა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა დასწერა ორ-მოქმედებიანი სიმბოლიური პიესა ფილოსოფიური ხასიათისა. პიესა წაკითხული იყო მეგობრულ წრეში და ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. პიესას ამ სეზონში დასდგამენ.

ახალგაზდა ბელეტრისტმა დ. კასრაძემ დაასრულა ოთხმოქმედებიანი დრამა „მეფე არლეკინი“.

◆ **პანაშვიდი.** დღეს, 6 აგვისტოს, განსვენებულ ექიმისა და საზოგადო მოღვაწის სვიმონ ილარ. გძელიშვილის გარდაცვალების ორმოცის დღის თავზე, ქვა ვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

◆ **სახალხო სახლში.** როგორც სახალხო სახლის ანგარიშიდან სჩანს, 1912 წელს ქართულ სექციას დაუდგამს 26 სახალხო წარმოდგენა და ოციც-ძმობტებულ ფასებით. დაუდგამთ შემდეგი პიესები: დღენი ჩვენი ცხოვრებისა, გამცემი, გამცემი, პარიზელი ბიჭი, უფროსი მაღარის მთხრელი, ცხოვრების გარეშე, გამცემი, პეპო, რაც გინახავს, ველარ ნახავ, ქრისტინე, პედაგოგები, ხანუმა, მეზობლები, გამცემი, ხანუმა, უფროსი მაღაროს მთხრელი, წითელი მანტია, დღენი ჩვენი ცხოვრებისა, დღენი ჩვენი ცხოვრებისა, რევიზორი, აღლუმი, ისმინე ისრაილ, საბედისწერო დამბაჩა, სიყვლის გმირები, ეკმუშევარნი, სიმახინჯე, ძოჩვენებანი, ეემოსავლიანი ადგილი, მორევში, მზის დაბნელება, მრუდე სარკე, იმედის დაღუპვა, მსხვერპლი, ლალატი, შემლილნი, სოფლის გმირები, უდანაშაულოდ დასჯილნი, ხახუმა, ქრისტინე, გამცემი, ქრისტინე, რევიზორი, მსხვერპლი, უმუძევარნი და მორევში. სახალხო წარმოდგენებს დასწრებია 14.246 კაცი, ხოლო ფას მომატებულს — 10,675 კაცი.

◆ **ფერისცვალება.** ავლაბრის ფერისცვალების (დარიის) მონასტერი დღეს თავის ღღესასწაულს უქმობს. მონასტერში დღეს მწირველია ამავე მონასტრის წინამძღვარი, გორის ეპისკოპოსი ანტონი.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი,** როგორც გვატყობინებენ, 1 აგვისტოს სოფ. ნოვო-ტემნიკოვოს წასულა, მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დამკოვთან. ეგზარხოსი მეფის მოადგილესთან 7 აგვისტომდე დარჩება საქართველოს საეკლესიო საქმეთა გამო.

◆ **ქალაქის კონტროლიორად** იუენერ მირველოვის ნაცვლად, რომელიც სხვა განყოფილებაში იქმნა გადაყვანილი, ქალაქის გამგეობამ ლ. ნ. დიასამიძე დანიშნა.

◆ **ვერის ბორნის** შესამოწმებლად გუბერნატორმა შერეული კომისია შეადგინა ქალაქის თვითმმართველობისა და საგუბერნიო სამმართველოს ტეხნიკოსთაგან.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაავალა ხმოსანს ა. ს. ბაბოვს, რომელიც რუსეთს მიემგზავრება, შეისწავლოს 1) პეტერბურგში წყალსადენის საოზონო სადგურისა და ტრამვაის წარმოების საქმე, 2) მოსკოვში—ქალაქის სასალახოს, 3) კიევში—დახურულ ბაზრებისა და ქუჩების მოკირწყვლისა.

◆ **ნიშის კურთხევა.** 4 აგვისტოს, დილით, ერევნის ეპისკოპოსმა პიმენმა მცხეთის მახლობლად აკურთხა ახლად აგებული ნიშა—ეკლესია წმ. ოლგას სახელობისა.

◆ **ფრენა.** ტფილისს ჩამოვიდა სტუდენტი სევანოვი (ტფილისელია), რომელმაც მოსკოვის საავიაციო სკოლაში კურსი დაასრულა და მოკლე ხანში ტფილისში გაფრენას აპირობს.

◆ **ცეცხლი.** გუშინ დილის 11 საათზე, არსენლის ქუჩასთან, „პუშინი“ მისახვევში (№ 6) სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი პირველად სახურავს გაუჩნდა და მთელს სახლს მოედო. მეზობლები ცეცხლმა ძალიან შეაშინა და დაუყოვნებლივ სახლები დააცლეგინა, რადგან მათი სახლები (ოთხი) ცეცხლ მოკიდებულ ახლოს მდებარეობდნენ. საბედნიეროდ, ჩქარა გაჩნდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ცეცხლი დროზე გააქრო. სახლი თითქმის სულ დაიწვა.

◆ **უკვალოდ დაკარგულნი.** ამ ხუთის დღის წინად ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ზინგერის კანტორაში მოსამსახურე ახალ. გაზრდა ქალი ელენე ზაქარიას ასული იარალოვი. ახლა გამოირკვა, რომ ქალის დაკარგის მიზეზი რომანიული ნიადაგი ყოფილა. რომანის მეორე გმირი ყოფილა ფეხსაცმელის მაღაზიის (მუხრანის ქუჩა) პატრონი ახალგაზრდავე კაცი გურგენ დავითიანცი, რომელთანაც ერთად ქალი სადღაც გაქცეულა.

◆ **ლიტანია.** ივერიის ძღვთის მშობლის წინამძღვარს დეკ. მ. მახათაძეს ნება დართეს 17 [illegible] ტანიით გაემგზავროს [illegible] დათა მონასტერში.

◆ ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ მიწერილობა დაუგზავნა საქართველოს საეკლესიოს სამღვდელოებას, დაწესებულებებს და სასწავლებლების გამგეთ დეეხმარნენ ფულის შეგროვებაში უმაღლესად შემდგარ დიდი მთავრის დუნაის გმირის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ძეგლის ასაგებად პეტერბურგში.

◆ **ხორცის ნიხრისა და წესიერ დასვენების** სავალდებულო წესების დარღვევისათვის გუშინ ქალაქის მეცხრე უბანში შვიდი ოქმი შეადგინეს.

◆ **ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერთან** არსებულ ქალთა სამასწავლებლო სკოლაში განმეორებითი გამოცდა დანიშნულია 26 აგვისტოს, ხოლო მისაღები I კლასში 27 და 28 აგვისტოს.

◆ **ჯარში მედავითნეთა გაყვანის შესახებ,** უწმ. სინოდმა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას უქაზი გამოუგზავნა, რომლითაც სასულიერო უწყებათა უფროსთ ევალებათ, სამხედრო ბეგარის გამგეობათ აცნობონ ხოლმე (თანახმად საბეგრო წესდებისა) სია იმ პირებისა, რომელნიც ჯერ 30 წლისა არ არიან და მედავითნეობას თავს ანებებენ. ასეთ პირთ სამხედრო სამსახურში გაიყვანენ.

◆ **საბირჟო ცნობები.** 5 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან. 25 კ., აძლევდნენ—84 მან. 50 კ., ტფ. საოთავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 25 კ., აძლევდნენ—82 მან. 25 კ. ქუთაისის საოთავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან. 50 კ., აძლევდნენ—79 მან. 0 კ., სახელმწიფო ბოდგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—423 მან., მეორისა—353 მან. და მესამისა—314 მან. 50 კ.

◆ **ტფ. გუბერნატორი** ა. გ. ჩერნიავსკი გორის მაზრიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **სიონის საკათედრო ტაძარში** დღეს მწირველია ერევნის ეპისკოპოსი პიმენი.

◆ **შინამრეწველობა.** მიწად-მოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებულმა ბორჩალოსა, სიღნაღსა და თელავის მაზრას გაჰგზავნა კავკასიის მინამრეწველობის ინსტრუქტორი, რომელმაც უნდა შეისწავლოს იქაურ შინამრეწველობის მდგომარეობა და საჭიროებანი.

სოფლის სურათები

ინტელიგენცია სოფლად.—„გასტროლიორი ინტელიგენტები“.—ქალები—რა არის საჭირო?

ხშირად წამიკითხავს გაზეთებში, სოფლის ინტელიგენციამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს და სოფლის მკირე რიცხოვანი საკულტურო დაწესებულებანი მოაღონიეროსო. კოოპერატიული ამხანაგობა იქნება, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, წარმოდგენა თუ სხვა რამ ამგვარი,—ყველაფერში სოფლის ინტელიგენციის იმედი აქვთ, იმათ მოუწოდებენ ჟურნალისტები, იმათზე ამყარებენ თავიანთ იმედებს პრაქტიკული მოღვაწენი. ეს ადვილი ასახსნელიც არის. ჩვენებური სოფელი კარგა ხანია ისეთს პირობებშია ჩაყენებული, რომ ძალა-უნებურად ისევ ეგრედ წოდებულ სოფლის ინტელიგენციას უნდა მიჰმართო და იმაზე დაამყარო ძველი შენი იმედები. ეს ასეა, მაგრამ, მგონია, ძალიან ხშირად ამნაირ მოწოდებათა ავტორებს კარგად არა აქვთ გათვალისწინებული, ვისგან შესდგება ეს „სოფლის ინტელიგენცია“, ან რამდენად თვალსაჩინოა მათი მნიშვნელობა სოფლის ცხოვრებაში. რომ ჩემმა სიტყვებმა უსაფუძვლო უკმაყოფილება არ გამოიწვიოს, წინდაწინვე ვიტყვი, რომ მე უმრავლესობაზე მაქვს საუბარი. სოფელში, როგორც ყველგან, არის გამონაკლისიც, რომელიც უმრავლესობას არა ჰგავს. ვინა ჰყავთ მხედველობაში, როდესაც „სოფლის ინტელიგენციაზე ლაპარაკობენ? არ ვიცი, ავტორებს ვინა ჰყავთ მხედველობაში, მაგრამ ჩვეულებრივად სოფლის ინტელიგენციის კონტიგენტს შეადგენს მღვდელი, მასწავლებელი, სოფლის მწერალი და ზოგიერთ ადგილას—მემამულეც. ესენი არიან ის „ინტელიგენტები“, რომლებზედაც ჩვეულებრივად ლაპარაკობენ და რომელთაც განუწყვეტლად ხალხთან უხდებათ ყოფნა. რას წარმოადგენს თვითოეული ამათგანი ცალ-ცალკე? ბევრს სოფელში ვყოფილვარ, ყურადღებით დავკვირვებივარ მათს ცხოვრებას და, ჩემდა საუბედუროდ, მხოლოდ ის დასკვნა გამომიტანია, რომ უმეტესს შემთხვევაში, მღვდლები მაგალითად არ წარმოადგენენ იმ ელემენტს, რომელიც შეიძლება ადამიანმა გამოიყენოს საკულტურო დაწესებულებაში. მკირე გამონაკლისი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, (მინახავს ისეთი მღვდლებიც, რომლებიც ძალიან ახლობელ მონაწილეობას იღებენ სასოფლო საქმეებში) მათ ყოველგვარი ზნეობრივი კავშირი აქვთ გაწყვეტილი ხალხთან. მღვდლების მოღვაწეობა აუცილებელ ფორმალობისა და რიტუალის აღსრულებაზე შორს არ მიდის. ამ ვიწრო ჩარჩოებშია მოქცეული მათი მოღვაწეობა. უმრავლესობას ხალხის ჭირი და ლხინი არ ახარებს, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა და ვერა ჰხდება ხალხის მრავალ-რიცხოვან ჭირილობათა მესაიდუმლედ. თუმცა მღვდლებს შეეძლოთ დიდი დახმარება გაეწიათ ხალხისთვის. განაცოტაა სოფელში ისეთი საქმე, რომელშიაც მღვდლის დარიგებას, ხელმძღვანელობას მნიშვნელობა ექნებოდა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ხელმძღვანელობა ხომ შეუძლიანთ? მაგრამ ასეთს დახმარებასა და ხელმძღვანელობას ძალიან იშვიათად შევხვედრივარ, თუმცა საკმაოდ ბევრი სოფლის ცხოვრებას დავკვირვებივარ.

რას წარმოადგენს სოფლის მწერალი? ისიც ერთგვარ „ინტელიგენტურ ძალას“ წარმოადგენს. შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს, მაგრამ ცხოვრების დღევანდელ პირობებში სოფლის მწერალს, აი ამ პოლიტიკურ იერარქიის სულ დაბალ მოხელეს, ბევრი კარგი შეუძლიან გააკეთოს სოფლისათვის და ბევრი ცუდი. გლეხ-კაცობის ცხოვრება გადაჯაჭვულია სასოფლო კანცელარიასთან. იქა სწყდება სასოფლო სამართალი, იქ იყრის ძაფებს გლეხ-კაცის მთელი უფლებრივი მდგომარეობა. ნახევარზე მეტად მამასახლისებმა თავიანთ სახელისა და გვარის ძოწერის მეტი არაფერი იციან. სადავე სოფლის ცხოვრებისა უმეტეს წილად სოფლის მწერალს უჭირავს ხელში. თუ ის კეთილსინდისიერია, საქმეც შეუძლიან გააკეთოს, თუ არა და—იგი გადაიქცევა ისეთს ელემენტად, რომლისაგანაც ვნების მეტს არაფერს უნდა მოელოდეს ადამიანი. მხოლოდ სინამდვილეში რას წარმოადგენენ ეს სოფლის მწერლები, უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც თითონ თუ არ უნახავს იგი „მუშაობაში“, წაუკითხავს ძაინც მათი მოღვაწეობის შესახებ. ეგნატე ნინოშვილის „მოსე მწერალი“ და ჰენრიხ სენკევიჩის „მწერალი ხოლზიკევიჩი“ მხოლოდ მკრთალი სურათია იმისისა, რაც შეუძლიან ჩაიდინოს სოფლის მწერალმა, სინდისზე რომ ხელი აიღოს. ასეთი ცვალებადია სოფლის მწერლის მდგომარეობა. არ ვიტყვით, რომ ბოროტ-მოქმედება თანდაყოლილი თვისება იყოს სოფლის მწერლისა, მათ შორისაც მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც არა საკარდის ცხოვრებას სულ მთლად არ ჩაუთრევია, მაგრამ სოფელში გამეფებული საერთო უუფლებობის ატმოსფერა ისეთს ქსელს აბამს, რომელშიაც ადვილად ითრევს რაიმე ზნეობრივ გავლენას მოკლებულ ადამიანს. სოფლის მწერლები უმეტეს შემთხვევაში ნახევრად კურს-გავლილი ახალ-გაზდები, ან ცხოვრებაში ფეხ-წაბორძიკებული ადამიანები არიან. მათ ადვილად ითრევს უუფლებობის ატმოსფერა და სოფლის პარაზიტადა ჰხდის.

დარჩა სოფლის მასწავლებელი. იგი, მგონია, ერთად-ერთი ელემენტია, რომელსაც შეუძლიან და ვალდებულიც არის მხურვალე მონაწილეობა ძიიღოს სასოფლო საქმეებში. ამისათვის მას საკმაო ძალ-ღონეც შესწევს, შემზადებაც. თვით მდგომარეობა მასწავლებლისა ისეთია, რომ იგი ყველაზე ახლო უნდა იდგეს ხალხთან და ზნეობრივსა და პრაქტიკულ ხელ მძღვანელობასაც უწევდეს. მაგრამ... აქაც არის ერთი „მაგრამ“, რომელიც მასწავლებლის მნიშვნელობას სოფელში აქარწყლებს, ანახევრებს. ჩვენში მომქმედ სკოლათა დეფექტების წყალობით მასწავლებელსა და ხალხს შორის გაწყვეტილია კავშირი. სკოლას გლეხ-კაცობა ისე უცქერის როგორც აუცილებელ ვალდებულებას და არა როგორც მისთვის სასარგებლო დაწესებულებას. ხალხი სკოლის სარგებლობას პირდაპირ ვერ განიცდის, რადგანაც დღევანდელ სკოლას, მართლაც, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. სკოლა მექანიკურად არის შექრილი სოფლის ცხოვრებაში, ორგანიულად არ არის დაკავშირებული სოფლის ინტერესებთან. დღევანდელი სკოლა სოფლის კაცს არ აძლევს იმ ცოდნას, რომელიც მისთვის საჭიროა. ასეთს პირობებში მასწავლებელიც უმეტეს შემთხვევაში ხალხისაგან გარიყული რჩება ხოლმე.

ისეთს შემთხვევაშიაც კი, როდესაც მასწავლებელი ამ დაბრკოლებანი ძლევს, წინ სხვა დაბრკოლებანი ეღობება. იგი უმეტეს შემთხვევაში თავისი პირდაპირი საქმითაა გართული და სულ მკირე დროა შეუძლიან შესწიროს სასოფლო საქმეებს. სოფელში კი ძალიან ბევრი საქმეა. დღითი-დღე იგი უფრო გაიზრდება. ეხლანდელი სოფელი ის აღარ არის, რაც ათი-ოცი წლის წინათ იყო. შეიცვალა სტრუქტურა მიწად-ფლობელობისა, შეიცვალა ხასიათი მეურნეობისა, შეიცვალა დამოკიდებულება წოდებათა შორის. ეხლა უფრო ხშირად შეჰხვდებით დამოუკიდებელ მეურნე გლეხს, რომელიც თავის საკუთარ ძალ-ღონით ებრძვის ცხოვრებას და თავის საკუთარ მეურნეობას აწარმოებს. ამისთანა პირობებში სად შეუძლიან თავის საკუთარ საქმით დატვირთულ სოფლის მასწავლებელს, თუნდაც მეასედი იმისა, რის გაკეთებაც საღღეისო საკითხად არის გადაქცეული?

აი ამათ ანაბარას არის დარჩენილი სოფელი. თქმა არ უნდა, არც ერთი ამ ელემენტთაგანი არ წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც შეუძლიან მალამად დასდოს სოფლის ჭრილობებს. სოფლის გართულებული ცხოვრება მოითხოვს მუდმივ ინტელიგენტურ ძალას, რომელიც საგანგებოდ სასოფლო საქმეებს ჩაუდგება სათავეში და ხელმძღვანელებას გაუწევს. ასეთი ინტელიგენტური, სოფელში მუდმივად ბინადარი ძალა ჯერ არსადა სჩანს.

* * *

გარდა ამ ჯურის ინტელიგენტებისა, სოფელს დრო გამოშვებით მოეკლინებიან ხოლმე სხვები, რომელთაც შეგვიძლიან „გასტროლიორი“ ინტელიგენტები ვუწოდოთ. ესენი არიან: მოსწავლე ახალ-გაზდობა, საგანგებოდ მოსულნი მოხელენი ან სხვა რამ პროფესიის ხალხი. საზაფხულოდ სოფელში თითქოს ცხოვრება ამოძრავდება ხოლმე. იმართება წარმოდგენები, თავის მფარველობას არ აკლებენ ბიბლიოთეკა—სამკითხველოებს. ერთის სიტყვით, გახურებული მუშაობაა. მაგრამ ადგილობრივი, სოფელში მუდმივი მცხოვრები უნდა იყო, რომ გაიგო რა ზედა-პირელია ეს მუშაობა, როგორ ნაკლებად სწვდება იგი ხალხის სულსა და გულს. გაიმართება წარმოდგენა, მთელი კვირაობით ახალგაზდობა ემზადება. გაცხარებული მუშაობაა. მაგრამ აი, ხედავ, ბოლოს გლეხი-კაცი, ერთს ალმაცერად გადაჰხედავს მოფუსფუსე ახალგაზდობას და ისე ჩაუვლის გვერდით, რომ ხშირად არც კი შეეკითხები, რა ამბავიაო. ხალხი თავისი ცხოვრებითა სცხოვრობს, ინტელიგენცია—თავისით. მათ შორის ხიდია ჩატეხილი. არ მინდა დავაშინო მკითხველი. როდესაც ჩატეხილ ხიდზე ვლაპარაკობ, სრულიადაც არ მინდა ისე იფიქროთ, თითქოს მათ შორის საერთო არაფერი იყოს. არა! ასეთი უკიდურესობა ჩვენებურ სოფელში არ შემიმჩნევია. მაგრამ მაინც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს „საქმიანობა“ ძალიან ნაკლებად აინტერესებს. სულ სხვანაირია გლეხი-კაცის გაჭირვება და სულ სხვანაირად უნდა მოვლა მის იარებს. საგასტროლოდ მოსულ ინტელიგენციას კი ეს ვერ შეუძლიან. იგი დროებით არის სოფელში ხმხოლოდ დროებითი საქმის გაკეთებაც შეუძლიან. იგი თავის „საქმიანობით“ ღრმა კვალს ვერ აჩნევს სოფლის ცხოვრებას. განმარტივებულია იგი და მისი „საქმეც“ გახმარტოვებული რჩება. მაგრამ ასეა თუ ისე, ამნაირ მუშაობასაც მნიშვნელობა აქვს. სხვა რომ არა იყოს რა, მუქთად მაინც არ ატარებენ დროს. ზოგიერთს შემთხვევებში ასეთი წარმოდგენებით ფულიც გროვდება. ეს ფული ან ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ხმარდება, ან სხვა რამ საკულტურო დაწესებულებას.

გადის ზაფხული. „გასტროლიორები“ სახლში ბრუნდებიან და სოფელი ისევ მარტო რჩება თავისი მოთხოვნილებებით, და თავისი გაჭირებით. მაშინ უნდა ხახოთ ჩვენე-

სასწავლებლებში

✦ **დედათა მესამე გიმნაზიაში** ისაღები და განმეორებითი ეგზამენები 21 აგვისტოს დაიწყება. თხოვნები მიიღება 17 აგვისტოდან.

✦ **განთავისუფლდა ადგილი** მასწავლებლისა, ტფილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სკოლაში. მასწავლებელს სემინარია უნდა ჰქონდეს გათავებული.

✦ **საშუალო სასწავლებლების** შენობათა ასაგებად და მოსაწყობად ყაზკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუველი 1913 წლისთვის 53,109 მან. თხოულობს სამინისტროსაგან, ხოლო დაბალ სასწავლებლებისთვის—183,299 მ. ამას გარდა 10.000 მანეთს თხოულობს მასწავლებლების ძველ შენობათა შესაკეთებლად.

სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** სურამიდან გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

მუშათა ცხოვრება

ბაკო.

✦ „არაბზადის“ სამრეწველომ მუშათა მოთხოვნილება დააკმაყოფილა და მუშაობა დაიწყო. აგრეთვე დაკმაყოფილებულნი არიან მუშები „ბორნის“ სამრეწველოსი და მე-XXII ჯგუფში „რუს. ამხ. ნავთის“ მომუშავეები და ლიანოზოვის სამრეწველოთა მეორე უბნის მუშები.

✦ ნაწილობრივ დაუკმაყოფილეს მოთხოვნილება ინჟ. პოლიაკოვის ქარხნის მუშებს და უკანასკნელნი მუშაობას შეუდგნენ.

✦ გაიფიცნენ: „ოპიტლენცის“ მექანიკური ქარხნის მუშები, ჰაზარბეკოვი ქვაბების სამჭედლო სახელოსნოს მუშები და სხვა რამოდენიმე წვრილი სახელოსნოს მუშებიც.

✦ სურახანაში გაიფიცა კოლოგოვ-ურბანოვიჩის საიჯარადროს 145 მუშა.

✦ ბიბიეიბათში გაიფიცა: შიბაევის სამრეწველოს 224 კაცი, იუზბაშევისა, „საფრანგეთის ამხანაგობისა“, ნავთის მრეწველთა საბჭოსი, „ვოტანის“ ამხანაგობისა, „მოსკოვოლგის“ ამხ.—სადამიღოვის და თაიროვის სამრეწველოების მუშები, რომელნიც შეუერთდნენ ნავთის სამრეწველოებში მომუშავეთა მოთხოვნილებას.

✦ ბალახანაში გაიფიცა „კასპიის ამხანაგობისა“ და მიტროფანოვის სამრეწველოების მუშები.

✦ შავ-ქალაქში გაიფიცნენ „ძმ. ნობელების“ სამრეწველოს 1100 მუშა.

✦ „სიონის“ კანაფის ქარხნის მუშებმა წარადგინეს მოთხოვნილება და გაიფიცნენ.

✦ გაიფიცნენ: „ბენკენდორფი და ამხ.“, „ახალი არაქსის“ სამრეწველოებისა; „ძმ. გალპერინის“ ჭის სათხრელ საიჯარადროს მუშები, „ყაზბეგის“ სამრეწველოს მუშები. აგრეთვე გაიფიცნენ „ტრუდოვოე დელო“-სი და ბურინგის მექანიკურ სახელოსნოების მუშები.

✦ 1 აგვისტოს გაიმართა კრება „ძმ. ნობელების“ სამრეწველოს მილისა და ბუგეგის გაფიცულ მომუშავეთა კრება. კრებას დაესწრო პოლიცია, სამრეწველოს ადმინისტრაცია და ქარხანათა ინსპექტორი. როგორც სამრეწველოს ადმინისტრაცია ისე ქარხანათა ინსპექტორიც არწმუნებდნენ მუშებს, დაკმაყოფილებულიყვნენ იმ დაკმაყოფილებით, რომელიც ნევთის მრეწველთა საბჭომ მიიღო. მუშები დაკმაყოფილებას არ დასთანხმდნენ და კრება დაიშალა. კრებას 4000 კაცი დაესწრო.

პეტერბურგი.

✦ 30 ივლისს, მურზინის ტყის მახლობლად, ს

ში სამსახურისათვის ექვსი კვირით, სანამ ახლად გაწვეულ ჯარისკაცთ მივიყვანდეთო. მინისტრთა საბჭომ მიიღო სამხედრო უწყების წინადადება, დაპყრობილი ადგილები 5 ოლქათ უნდა დაიყოს. გამოქვეყნებულია მეფე პეტრეს პაშიჩისადმი ბარათი, რომელიშიაც მეფე პაშიჩს გულწრფელ მადლობას უცხადებს და პირველი ხარისხის თეთრი არწივის ორდენით აჯილდოვებს. მთავარ სარდალს პუტნიკს ებოძა პირველი ხარისხის ყარა-გიორგის ვასკვლავი.

ათინა. სკამხედრო სურსათის ფულის გადასახდელად მეფემ დაამტკიცა 10 მილიონის სესხი. საეროვნო ბანკი თავმდებია სესხისა.

ვენა. სკუტარიდან იტყობინებიან, რომ ხოტის, გრუდის, კლემენტის, კასტრატის და შკლერის თემების უხუცესნი მივიდნენ ინგლისის ადმირალთან ბერნეისთან და განუცხადეს, რომ მალესიის თემები არ იღებენ იმ სამზღვრებს, რომელიც ელჩთა კრებამ აღნიშნა და დაამტკიცა. თუ დიდი სახელმწიფონი არ მიიღებენ მხედველობაში ალბანელთა საჩივარს. აუცილებლივ ომი მოხდება ალბანელთა და ჩერნოგორელთა შორის, თუ მალისორებმა 7 აგვისტომდე დადებითი პასუხი არ მიიღეს მომერენდუმზე, ტუზისკენ წავლენ. ამავე შინაარსის განცხადება წარუდგინეს ავსტრო-ჰუნგრეთის და გერმანიის ელჩებს. ადმირალმა და ელჩებმა უპასუხეს, რომ შეაყოლებინებენ თვის სახელმწიფოთა მთავრობებს. მოვიდა ოსმალეთიდან „ადრიანოპოლის კომისია“.

ცეტინიე. მოკავშირეთა შეტაკებაში მონაწილე ჩერნოგორიის ჯარი შინ დაბრუნდა, რადგანაც ბულგარეთის ჯარის უმრავლესობა დათხოვნილია.

სტამბოლი. კომიტეტი აწყობს პროვინციებში მიტინგებს, რომელნიც თხოულობენ ადრიანოპოლის შენარჩუნებას. მაჰმადიანები მიტინგს გულგრილად ეკიდებიან მეტი გულმხურვალობა ბერძნებს ეტყობა.

სოფია. მელნიკის ოლქში, ბერძნების ჯარი, ნევროკოპის გარშემო მდგარი დრამის ჩრდილოეთით მიდის.

ჯარის მთავარ სადგომის ცნობით მუსტაფა ფაშასთან მდგომ ოსმალეთის მოწინავე ჯარს ყოველ დღე ახალი ჯარი ემატება. ოსმალები სულ უმიზეზოდ ესვრიან ტყვიას ბულგარეთის საყარაულოებს.

ადრიანოპოლის გარშემო ძლიერი ჯარი დააყენა ოსმალეთმა. ადრიანოპოლის მიდამოებიდან ოსმალები სახლდებიან სამხრეთისაკენ და ითვისებენ იმ ადგილებიდან გაქცეულ ბულგარელების ქონებასა და ნამუშევარს.

ბელგრადი. 3 აგვისტოს გემით მოვიდნენ პრეზიდენტ-მინისტრები ჩერნოგორიის საბერძნეთის და სერბიის. მათ მიეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი, პარლამენტის თავმჯდომარე, საბერძნეთის და რუმინიის საელჩოები და აგრედვე სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. მცხოვრებლები აღტაცებით მიეგებნენ მათ და ჰყვიროდნენ „ჟივიოს“ (გაუმარჯოს). ვენიზელოსი მეფემ მი ღო. პაშიჩის პატივის საცემლად სასახლეში ნადიმი გაიმართა.

სტამბოლი. რუსეთის გემები „როსტისლავი“ და „კაგული“ შავ ზღვაში გავიდნენ.

სოფია. მთავრობამ ჩააბარა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ განცხადება, რომ ოსმალეთის ჯარმა, ვითომც იმ მიწა-წყლის დასაცველად საიდანაც ბერძნები გაიქცნენ, დაიპირა მუსტაფა ფაშა, დიმოტიკა და სოფილი. მიიწია კავაკამდის, მარიცის დასავლეთით 70 კილომეტრის მანძილზე და ამ ჟამად კირკილისსაკენ და გიუმიულჯინისაკენ მიდის. ბულგარეთის განცხადება დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას აპყრობს იმას, რომ ეს ადგილები ოსმალებმა უფრო ადრე დაიპირეს ვიდრე ბულგარელებმა, რომელნიც მეორედ უნდა შესულიყვნენ ამ ადგილებში შეტაკების შემდეგ. ბულგარეთის მთავრობა წინადადებას იძლევა, მიწა-წყლის შემოერთება სამხედრო წარმომადგენელის თანადასწრებით მოხდესო. ბუქარესტის ხელშეკრულება აიძულებს ბულგარეთს ჯარი დაითხოვოს და უსამართლობა იქნება, რომ მიეცეს ოსმალებს უფლება ლონდონის ხელშეკრულების დარღვევისა და იმ სახელმწიფოს მიწა-წყალში შეჭრისა, რომელმაც ეხლახან იარაღი აიხსნა. ბულგარეთის მთავრობა, თავდება ასე განცხადება, დარწმუნებული არის, რომ დიდი სახელმწიფონი აღმოაჩენენ საშუალებას, რომელიც უფლებას არ მისცემს ოსმლათა ჯარს გადმოსცილდეს ენოს-მიიდიის საზღვარს, რადგანაც მათ მოძრაობას გარდა იმისა რომ შეუძლიან ბულგარეთთან შეტაკება გამოიწვიოს, შეუძლიან აგრედვე მოიტანოს მრავალი დაბრკოლებანი ზავის ჩამოგდების საქმისათვის და სამართლიანობისათვის, რომელთათვისაც დიდი სახელმწიფონი ირჯებიან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

3 და 4 აგვისტო.

უცხოეთი

შანხაი. ნანკინში ბრძოლა არის. სიმაგრეები შეამბოხეთ, უჭირავთ მთავრობის ჯარის უფროსმა გენერალმა ჯანსუნმა იერიში მიიტანა მეამბოხეებზე. იტყობინებიან, ვუზრუნის სიმაგრეები დაემორჩილენ მთავრობის ჯარს 150.000 დოლარის მიცემის შემდეგო. კანტონთან ომი გრძელდება. ცნობებით საერთო მდგომარეობა ცუდია.

ტოკიო. რადგანაც იაპონიის პოლიციას მეტად უჭირს სამხრეთ-ჩინეთიდან გამოქცეულთა დაცვა, ხმები დადის მთავრობა აპირებს მიჰმართოს ჩინეთის მთავრობას, გააუქმოს განცხადება შესახებ სუნიათსენის და ხუანსინს მკვლელების დაჯილდოვებისა.

ლონდონი. სუფრაჟისტ ქალების ბელადი პანკჰერსტი საფრანგეთს წავიდა.

კადიქსი. მაროკოელებმა გაძარცვეს ალგეზესებასის ნაპირის ახლოს ესპანიის გემი. მაშველად მოსული სამხედრო ნავი იძულებული გახდა დაეძირა ეგმი თავდამცემებით.

ცეუტა. მაროკოელები თავს დაესხნენ სურათის გადამტანელ რაზმს; მოკვლეს 5, დასჭრეს 17 კაცი. მაშველად მოსულმა ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა მაროკოელნი.

ბერლინი. „ნორდ-დეიტშე“ ამოწმებს, რომ გერმანიამ უარი სთქვა სან-ფრანცისკოში გამოფენაზე მონაწილეობის მიღების.

სვანზი. დაიწყო საერთო გაფიცვა გემთსაამშენებლოს მომუშავეთა.

ლონდონი. სუფრაჟისტ ქალებმა წაახდინეს გოლფის ბანი და დასწვეს ზვინი თივა ბეჩვორტის პარკში.

ბიშლი. საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ბერხტოლდი მიიღო მეფემ და ელაპარაკა საათნახევარს მიმდინარე საქმეებზე.

ტოკიო. მოვიდა სამხრეთ ჩინეთიდან გამოქცეული ხუანსინი.

გაზეთების სიტყვით, ჰავაის კუნძულებზე მცხოვრები იაპონელნი უკმაყოფილნი არიან ფინანსისტ სოდოს სიტყვით, რომელიც გონლულუში წარმოსთქვა. სოდამ აღნიშნა, რომ იაპონიას ეკონომიურის მოსაზრებით არ შეუძლიან ამერიკას ომი გამოუცხადოსთ.

სარაევო. ბოსნიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ქ. ობრუკში და დაბა ოსტრალუკში ხოლერის ნიშნები აღმოჩნდა. მოკვდა ოთხი კაცი.

ქ ა ვ კ ა ს ი ა.

არდაგანი. ოსმალეთიდან ოლთის ოლქში გადმოსულ 9 ოსმალო ყაჩაღს ჩაფრებმა ალყა შემოარტყეს ქორ-ოღლის ძველ ციხეში. დიდი ხნის სროლის შემდეგ მოჰკლეს 6 დასჭრეს ერთი კაცი. წართმეულია 5 თოფი და მრავალი პატრონა. ჩაფრებს მოუკლეს 3 ცხენი და დაუჭრეს ორი.

რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი. დაიჭირეს „სევერნაია პრავდა“ № 3. „რუსკაია მოლვა“ № 280 და „რეჩი“ № 209. რადგანაც 1915 წ. განზრახულია გაიმართოს მეორედ მცხოვრებთა აღწერა, შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა ცენტრალურ სტატისტიკო ბიუროსთან არსებულ კურსებზე მსმენელთა რიცხვი გააძლიერონ 1913 და 1914 წ. და ამით მოამზადონ აღწერისათვის საკმაო რიცხვი აღმწერებისა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო მოეწყოს კიევში 18—25 აგვისტოს ცხენთა მომშენებლების კრება, როგორც სექციი საერთო სასოფლო-სამეურნეო კრებისა.

მოსკოვი. ქალაქის მეურნეობასთან გასაცნობად მოვიდნენ იაპონიის პარლამენტის წევრი სემიტსუ და ტოკიოს წარმომადგენელი ფუკადა.

კიევი. საოლქო სასამართლომ ბეილისის საქმის განხილვა 26 სექტემბრისათვის დანიშნა.

კიევი. საღამოს 9 საათზე ლუკიანოვის ქუჩის ტრამვაის შტოზე პოლიციელებმა დაჭერა მოუნდომეს 4 საეჭვო პირს. ტრამვაის ვაგონი სავსე იყო ხალხით. საეჭვო პირებმა სროლა ასტეხეს. ერთი პოლიციელი მოჰკლეს. ერთი საეჭვი პირთაგანი შეიპყრეს მეორე ლოყაში დაიჭრა და შეიპყრეს, დანარჩენნი გაიქცნენ.

სამარა. ნიკოლაევის მაზრაში სეტყვამ და ნიაღვარმა გააფუჭა 4.210 დეს. ნათესი, ზარალი 275 ათასი მანეთის არის.

ბალახანა. სოფელ გორდეევსკის მახლობლად დაიწვა ზეთისა და ნავთის გამომხდელი ქარხანა ტრეპელისა და პოზნიაკისა. ზარალი 300 ათას მანეთზე მეტია.

პეტერბურგი. ბელოდითი სიტყვის კომიტეტმა. დაიჭირა „სევერნაია პრავდა“ № 4.

უსტიციმოლა. მცხოვრებლებს ძალიან აინტერესებს აქ მოსული მოცურავე სასოფლო სამეურნეო გამოფენა, რომელიც მიწათ-მოქმედებმა დეპარტამენტმა გაჰმართა.

ასტრახანი. ყირგიზთა ველში, აშეუზეკში, მოკვდა ყირგიზი, რომელსაც ჰირი აღმოაჩნდა.

პეტერბურგი (?) გაიხსნა ესპერანტოს ენაზე მოლაპარაკეთა მეორე კრება.

წერილი რედ. მიმართ

ხარკოვის ქართულ სათვისტომოს გამგეობა კიდევ ერთხელ მოაგონებს თავის მოვალეებს—დაუბრუნონ მას, თუნდაც ნაწილობით, ის ფული, რომელიც მათზე ირიცხება.

ზაფხული მიიწურა, ამ მოკლე ხანში სტუდენტობა ისევ გაემგზავრება რუსეთში. წლის თავიდანვე სათვისტომოს გამგეობას მოსდის აუარებელი თხოვნები დახმარების შესახებ, ფული კი კასაში სრულიად არ მოიძებნება, რომ უსაჭიროესი მოთხოვნილებანი მაინც დაკმაყოფილოს გამგეობამ. ყველა მოვალეს კარგად მოეხსენება, რითი არსებობს სათვისტომოს კასა. ერთად-ერთი იმედი ძველი მოვალეებისა-ღა გვაქვს. გაზეთებში გვარებს არ ვაცხადებთ, რადგანაც გამგეობას იმედი აქვს, რომ ეს არა სასურველი ზომა მას არ დასჭირდება.

ფულის გაგზავნა შეიძლება ამ მისამართზე:

1) Харьковъ. Пассаж, до востребованія. Студ.-техн. Симеону Пицхелаури. 2) აგვისტოს დამლევამდე: Кутаисъ. Орпинская ул. домъ Кавтарадзе. студ. Константину Цагарели.

ხარკოვის ქართულ სათვ. თავმჯდომარეს მ. ფალავა **სვ. ფიცხელაური.**

ხაზინადარი **კ. ცაგარელი.**

P. S. უმორჩილესად ვსთხოვთ, როგორც ადგილობრივ ქართულ-რუსულ გაზეთებს ისე ქუთაისის: „იმერეთსა“ და „განთიადს“ გადაბეჭდონ ეს განცხადება.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ ეს ჩემი წვლილი (მანეთ ნახევარი) შემოვიტანო მგზავნის ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ.

კონსტანტინე ლომოიძე.

ბ-ნო რედაქტორო! სოფ. ახაშენში (სილნაღის მაზრა) 27 ივლისს გამართულ წარმოდგენის შემდეგ ვახშამზედ დამსწრე საზოგადოებამ ადღეგრძელა ამ ჟამად ავადმყოფი მგზავანი ირ. ევდოშვილი და უსურვა მას სრული განკურნება. ამასთან დამავალა ეს მცირე წვლილი (20 მან.), ვახშამზედ შეგროვილი, გამოგგზავნოთ თქვენ მისადამი გადასაცემად

დამსწრეთა მონდობილობით ექ. **დ. ჯაბახიშვილი.**

ბატონო რედაქტორო! გიგზავნით ავადმყოფ ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ ქ. ბაქოში შეგროვილ ფულს.

შემომწირველთა სია; ორ-ორი მან.: ვ. თ—ა, ს. კვ., ვ. ლ., ს. ე. მასხარაშვილი, ალი-ეფენდი ჯალილოვი; თითო მან.: ფ. თ—ა, ალ. კუ ლ. ლ. ბ—ძე, ქ. ბ—ი, გ. ე. ჩიჩუა, ს. ტ. მან—ვი. გვარაბაძე, მ. დ. მა., ლ—ძე, ვ. ხუციშვილი, ილია აღლაძე, მიხ. ავალიანი; ათ-ათი შაური: ი. ტ. მიქელაძე, ნ. სრესელი, გ. ბ. კანდელაკი, პეტრე პირბუდაგვი, მალლაკელიძე, 1 მ. 20 კ. ამბერგი სვანიძე 25 კ., მალხაზ ჩხეიძე—20 კ., ს. ლ—ი 2 მ. და 35 კ. სულ 30 მან.

ლოლობერიძე.

ბატონო რედაქტორო! გიგზავნიდ ავადმყოფ მგოსნის ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ ხონში შეგროვილს 18 მ. 90 კ.

სია შემომწირველთა: მ. ჯავანიძე 1 მ., მ. კაკაბაძე 1 მ., მ. ბახტაძე 2 მ., მ. ქუთათელაძე 50 კ., სევ. კაკაბაძე 50 კ., ერ. ქუთათელაძე 50 კ., ს. ჯორბენაძე 1 მ., ვლ. ქუთათელაძე 1 მ., ს. ჩიქოვანი 50 კ., გ. წივწივაძე 50 კ., ათ. ქანტურაია 50 კ., ერ. კვიცარიძე 50 კ., № 50 კ., გ. ბახტაძე 50 კ., ს. ჩარგაძე 50 კ., ალ. გვახარია 50 კ., ვ. ჩხიკვი შვილი 2 მ., ქუთათელაძე 50 კ., ალ. ჩინკალი 40 კ., ალ. ნიკარაძე 50 კ., კ. კაკაბაძე 50 კ., ვ. წივწივაძე 50 კ., ბ. იოსელიანი 50 კ., ნეო მეგუკისა 50 კ., მიხ. ჩხენკელი 1 მ., მ. ჯელიძე 1 მან.

მ. ჯელიძე.

ი. ევდოშვილის სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო 35 მ., ტუაპსეში მცხოვრებ ქართველებ შორის შეგროვილი კ. ჩაჩუას მიერ. შემომწირველთა სია:

კ. ჩაჩუამ და ლ. სურგულაძემ თითო თუმანი, ე. ბენდუკიძისამ 3 მ., ი. ჩხიკვაძემ 2 მ., ს. ქანტურაიშვილმა, მ. კობერიძემ, ე. შოშნიაშვილმა, ნ. გენდლიძემ, ფ. ხაინდრავამ, ა. ბახტაძემ, ს. ოსიძემ და ლ. კვირკელიამ თითო მანეთი; ა. აბზიაკამ, ა. ქუთელიამ, ე. სალუქვაძემ და ნ. გეგეშიძემ ათ-ათი შაური; კ. ლომიძემ და გ. რეკვავამ ექვს ექვსი შაური; სულ 35 მ. 60 კ., აქედან საფოსტო და სხვა ხარჯი 60 კ.

ევდოშვილის გადასაცემად რედაქციამ მიიღო: გრიშა დანდურიანისაგან 5 მ., და მიხეილ ზედგინიძისაგან 3. მ.

რედაქციამ მიიღო 10 მ., ქ-ნ კლავდია გაბუნიას მიერ შეგროვილი სოფ. ბანქაში, შემომწირველთა სია:

გ. ფალავამ 1 მ., ი. ფალავამ 1 მ., გ. გაბუნიამ 1 მ. ანასტასია გაბუნიამ 50 კ., ბ. გამსახურდიამ 50 კ., ლ. კეკელიძემ, ს. ციხისთავმა, მ. გაბუნიამ ა. ზ. გაბუნიამ, ვ. ხოხობიამ და დათიკო აჯიაშვილმა—თითო მან.

რედაქტორ-გამომცემელი

ა. ფუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა (ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან ბაკიდ.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაც. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 5 ს. 23 წ.

ბაკოდან: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაც. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საბაგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4 3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24, 23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თბილისელი** (ველიამინოკის, 4, ტელეფ. 680).

7—8 **შ. ა. ნაკელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).

10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მოხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ექიმნავაჯარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შ ე შ ხ ა კ უ ნ ე ბ ა

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმყ.

ბ. გ. აგანბეროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. შულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, სბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ლ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი.**

1004

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ფეხსაცმელები

თომა დ ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში,

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ-ნაირი:

საკუთარი დ **პეტერბ.**

მეხანიკური ნაწარმოები. 527

ბალი ედემი ფუნიკულერზე,

ყოველ დღე დაუკრავს აზიური ორკესტრი აზიურსა და ევროპიულ ნაწარმოებთ ნაშუადღევის 2 ს. დამის 12 ს.-მდე, ხოლო კვირა-უქმე დღეს დილის 12 საათიდან. ხალხისათვის გამართულია ტალავერი. ბუფეტში მოიპოვება როგორც რუსეთის ისე საზღვარგარეთის სასმელები. სამზარეულო ამზადებს აზიურსა და ევროპიულ საჭმელებს, გამოცდილი მზარეულის ყურის გდებით. ფასები ძალიან იაფია.

507 პატივისცემით **ა. მ. ფეტრაჯანიძე.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები ს. მ. ფილოქიანისა,

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, **ტელეფ. № 976.**

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისთვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.

საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო დ საფაბრიკო-საქართნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) **კომერციული კორესპონდენცია** უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრედვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწაალო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, სახნგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარო მაღაზიიდან: **ბ ა ქ ვ ი ს:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

საგუბერნიო და საკანცელარიო ცოდნათა კურსები

არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის (მე-XIV წ. არს. შემ.).

კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა დ სხვა ნაწილს შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფიასა დ მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭდვას. **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა. მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებელის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დღეის 10 ს.—1 საათამდე. 1420

მუდამ დღე მოგვდის

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზღვა, თხი, ლობიო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

ხიზილალა ჭიტა

აგრედვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჯიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე ულ ო ბ ა** და

კონსერვები.

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგვლოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ოპალიერების

MAGASIN M.-D. TERBKARAPETIANCA ОБОЕВЪ

სპეციალური მაღაზია

მ. ლ. ტერ-კარაპეტიანცისა,

ახლად გახსნილი (პუშკინის ქ., თამამშვილის ქარვასლა).

ახლად მიღებულია საქონელი სხვა და სხვა **რუსეთის, პოლონეთის** და **ფინლანდიის** ცნობილ ფაბრიკებიდან. გაყიდვა ნაბრობით და ერთობაშად **თოფი 8 კ.-დან** დაწყებული და უფრო ძვირად ზომით (11½ არშინ.) შეკვეთილ საქმის ასრულება სწრაფად და სუფთად. 1414